



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურორი



KA011390590805515

ქ.თბილისი

25 / ნომბერი / 2015 წ.

ბრძანება № 161-მ

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის
კომისიის შექმნის შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №43 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისია შეიქმნას შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი გაბიტაშვილი – საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

გიორგი გოგაძე – საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

მამუკა ვასაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი (კომისიის წევრი);

მაგდა კაპანაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე (კომისიის წევრი);

მირანდა მელქაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);

სოსო არჩვაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);

ირაკლი ჩილინგარაშვილი – საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);

ნიკოლოზ დგებუაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);

ლევან ძნელაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის თავდაცვის და

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის წევრი);

მიხეილ შაყულაშვილი – ქ. თბილისის პროკურორი (კომისიის წევრი);

სოფიო ჯიაძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განვითარების და კარიერის მართვის ცენტრის (სამმართველოს) უფროსი (კომისიის წევრი);

ბესიკ თხელიძე – საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსის მოადგილე (კომისიის წევრი);

ნათია სონღულაშვილი – საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);

გედევან ფოფხაძე - საქართველოს პარლამენტის წევრი (კომისიის წევრი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავარი პროკურორის 2015 წლის 07 სექტემბრის №125-მ ბრძანება „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის კომისიის შექმნის შესახებ“.

3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავარი პროკურორი



გიორგი ბადაშვილი